საქართველოს ბანკი

ზოგადი ინფორმაცია სადავო საბარათე გადახდებთან დაკავშირებით

შესაძლებელია საერთაშორისო ან ლოკალური საგადახდო სისტემის ან/და ბანკის ბარათის მფლობელის მიერ ბანკში დაფიქსირდეს საბარათე ტრანზაქციებთან დაკავშირებული დაუთანხმებლობა - სადავო საბარათე გადახდის ოპერაცია (ბარათის მფლობელი არ ეთანხმება თავისი ბარათით შესრულებულ გადახდის ოპერაციას, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიზეზი).

სადავო საბარათე გადახდის ოპერაციის ფარგლებში, ორგანიზაცია შესაძლოა ვალდებული გახდეს აანაზღაუროს სადავო საბარათე გადახდის ოპერაციის თანხა.

ორგანიზაცია ვალდებულია ბანკში წარმოადგინოს სადავო საბარათე გადახდის ოპერაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, რათა ბანკმა დაიცვას ორგანიზაციის ინტერესები, მათ შორის, საერთაშორისო ან ლოკალურ საგადახდო სისტემაში დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე.

საბარათე გადახდებთან დაკავშირებით გასათვალისწინებელი საკითხები

ბარათის მფლობელის მიერ ბარათით გადახდის თარიღიდან მინიმუმ 13 თვის განმავლობაში უნდა შეინახოთ საბარათე გადახდასთან (მათ შორის, თანხის დაბრუნების ოპერაციასთან (Reversal / Refund)) დაკავშირებული დოკუმენტები, **მათ შორის**:

- საბარათე ქვითრები;
- ინვოისი, ანგარიშფაქტურა;
- ნასყიდობის / მომსახურების ხელშეკრულების დედანი ან/და ბარათის მფლობელის მიერ სტანდარტულ პირობებზე თანხმობის დამადასტურებელი მტკიცებულება;
- მიღება-ჩაბარების აქტი და ბარათის მფლობელისთვის მიწოდებული პროდუქციის / მომსახურების დეტალური აღწერილობა / ჩამონათვალი;
- ორგანიზაციასა და ბარათის მფლობელს შორის წარმოებული მატერიალური და ელექტრონული კორესპონდენცია;
- ნებისმიერი სხვა სახის დოკუმენტი, ინფორმაცია ან მონაცემი, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს საბარათე ოპერაციასთან.

თუ საბარათე ოპერაციის შესრულების დროს ბარათის პინკოდი არ იყო გამოყენებული, ხელი მოაწერინეთ ბარათის მფლობელს გადახდის დამადასტურებელ ქვითარზე

ამასთან, პრეავტორიზაციის მეშვეობით საბარათე გადახდების შემთხვევაში დამატებით გაითვალისწინეთ:

პრეავტორიზაცია პოს-ტერმინალის დამატებითი ფუნქციაა, რომელიც საბარათე ოპერაციის შესრულებამდე, ბარათის მფლობელის ბარათის ანგარიშზე მომსახურების/პროდუქციის საფასურის შესაბამისი სრული ან ნაწილობრივი თანხის დროებით დაბლოკვას გულისხმობს. პრეავტორიზაციის დასრულება შესაძლებელია მომსახურების/სერვისის მიღებისას ან შემდგომ, დაბლოკილი თანხის ფარგლებში საბარათე ოპერაციის შესრულების საფუძველზე.

- პრეავტორიზაციის ოპერაციის შესრულებამდე ბარათის მფლობელს მიაწოდეთ სრული, დეტალური და მკაფიო ინფორმაცია პროდუქციის/მომსახურების საფასურის გადახდის

პირობებთან დაკავშირებით და მოიპოვეთ მკაფიო თანხმობა აღნიშნული პირობებით პროდუქციის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით და აღნიშნული თანხმობა შეინახეთ.

- იმ შემთხვევაში, თუ თქვენს საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ავტოსატრანსპორტო საშუალების გაქირავება ან/და მასთან დაკავშირებული საქმიანობა, ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზიანების ან/და მისი მართვის შედეგად მესამე პირის წინაშე წარმოშობილი გადასახდელის საფუძველზე, ზიანის (ზარალის) ანაზღაურების მიზნით, ბარათის მფლობელისგან თანხის პრეავტორიზაციის მეშვეობით ჩამოჭრამდე მომხმარებელისგან მოიპოვეთ დამატებითი და მკაფიო თანხმობა (მათ შორის, ასანაზღაურებელი თანხის ზუსტ მოცულობასთან დაკავშირებით) თანხის ჩამოჭრაზე.
- ნაწილობრივი პრეავტორიზაცია აუცილებლად დაასრულეთ უშუალოდ ბარათის გამოყენებით.
- თუ პრეავტორიზაცია ხორციელდება ბარათის მფლობელის თანდასწრებით, გაიარეთ ბარათის მფლობელის იდენტიფიცირების პროცესი და შეამოწმეთ, ემთხვევა თუ არა ბარათის მფლობელი იმ პიროვნებას, რომელსაც უნდა გაუწიოთ მომსახურება/მიაწოდოთ პროდუქცია.
- იმ შემთხვევაში, თუ პრეავტორიზაცია დაწყებულია და სრულდება ბარათით, ბარათის მფლობელი გააფრთხილეთ, თან იქონიოს ის ბარათი, რომლითაც დაიწყო პრეავტორიზაცია და პრეავტორიზაცია დაასრულეთ აღნიშნული ბარათის გამოყენებით.
- უბარათოდ თანხის ჩამოჭრის შემთხვევაში ხელი მოაწერინეთ ბარათის მფლობელს გადახდის დამადასტურებელ ქვითარზე.
- მომსახურების/პროდუქციის სრულად მიღების შემდეგ ხელი მოაწერინეთ ბარათის მფლობელს ინვოისზეც, რომლითაც დაეთანხმება, რომ მან გადაიხადა ბარათით და სრულად მიიღო ორგანიზაციისგან მომსახურება/პროდუქცია (იმ თანხაზე, რაც გადაიხადა), თან, მიუთითეთ ბარათის ბოლო 4 ციფრი და მომხმარებლის საკონტაქტო ინფორმაცია.
- შეინახეთ ყველა ის დოკუმენტი, რაც დაადასტურებს ბარათის მფლობელის თანხმობას ბარათიდან თანხის პრეავტორიზაციით ჩამოჭრაზე.

***

გაითვალისწინეთ, ამ დოკუმენტში წარმოდგენილი მონაცემები მხოლოდ საინფორმაციო ხასიათს ატარებს და არ არის გარანტი იმისა, რომ სადავო საბარათე გადახდასთან დაკავშირებული დავა გადაწყდება ორგანიზაციის სასარგებლოდ.

დამატებითი კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: (032) 2 444 401